ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №47

ქ. ბათუმი

4 ივლისი, 2019 წელი

ერთის მხრივ, ა(ა) იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო" (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ჯუმბერ კობალაძის სახით

და მეორეს მხრივ, ი/მ მალხაზ ჟორჟაძის (შემდგომში„მიმწოდებელი'') სახით

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის„ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას შემსყიდველს მოემსახუროს სხვადასხვა სახის ტექნიკური სამუშაოების შესრულებითი სამუშაოებით დანართის შესაბამისად. (CPV **45300000** სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები; CPV **45340000 ღობეების,მოაჯირების და დამცავი მოწყობილობების მონტაჟი** ; CPV45311000 - ელექტროგაყვანილობებისა და ელექტრომოწყობილობების მონტაჟი; CPV 45351000- საინჟინრო-სამონტაჟო სამუშაოები.) შემდეგში შესყიდვის ობიექტი/მომსახურება, ხელშეკრულების 2.1 პუნქ-ტით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2 საქონლის მიწოდების ვადა 2019 წლის 18 ივლისი.

2. ხელშეკრულების თანხა, ანგარიშსწორების წესი

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 375,00 (სამას სამოცდათხუთმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების თანხა ითვალისწინებს როგორც საქონლის შესყიდვასთან/მომსახურების გაწ-ევასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

2.3. დაფინანსების წყარო - ადგილობრივი ბიუჯეტი.

2.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტობრივად მიწოდებულ საქონელზე სასაქონლო ზედნადების ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურის გამოწერიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ა(ა) იპ „მუნიციპალური სერვისების სააგანტოს„ სამეურნეო განოფილების უფროსი ჯემალ მაკარაძე.

3.2. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს გაწეული მომსახურება ხელშეკრულების პირობებთან მიმარ-თებაში.

3.3. გაწეული მომსახურება უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო; აკმაყოფილებდეს ხარისხის დადგენილ სტანდარტებს.

3.4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირი მიღება-ჩაბარების აქტის ან ზედნადების საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის/მომსახურების შესაბამისად.

3.5. იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი/გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულები-თ გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სათანადოდ უფლებამოსილი პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მომსახურების/საქონლის მიღებას, ხოლო თუ გამოვლინდება, რომ

იგი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფ-ლება აქვს არ მიიღოს შესყიდვის ობიექტი და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა 5 დღის ვადაში მიმწოდებლის ხარჯით.

4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

4.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულები-საგან.

5. ხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

5.2.1. ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება, ასევე მომსახურების ხარისხის პერიოდული კონტროლი;

5.2.2. მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნის აღმოფხვრა, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია:

5.3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება;

5.3.2. შესაბამისი შეტყობინების შემთხვევაში დროულად აღმოფხვრას მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნი საკუთარი ხარჯით.

5.4. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვიდ ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

6. დაუძლეველი ძალა

6.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

6.2. დაუძლეველი ძალა ნიშნავს მხარეების კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას წყალდიდობით, ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური მოვლენებით, საომარი მოქმედებებით, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვით, აგრეთვე სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი, მხარეების ნებისაგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

6.3. დაუძლეველი ძალის გამოვლენის შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, დამაბრკოლებელ გარემოებათა დასრულებამდე.

6.4. დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევის მიზეზების შესახებ, ასევე ვალდებულების შესრულების შეუსრულებლობის სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ. თუ მეორე მხარე არ დათანხმდა ვალდებულების შესრუ-ლების ვადის გაგრძელებაზე, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა.ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება ან დამატება, ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით გაფორმებული შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევებშიც ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეიძლება გაიზარდოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ფარგლებში.

7.3. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.

7.4. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2019 წლის 31 დეკემბერი.

9. სადავო საკითხების გადაწყვეტა

9.1. მხარეები თანმხდებიან, რომ უპირველესად შეთანხმებისა და ურთიერთმოლაპარაკების გზით მოაგვარონ მათ შორის წამოჭრილი ნებისმიერი უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა.

9.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, თითოეულ მხარეს შეუძლია დავის გადაწყვეტის მიზნით მიმართოს სასამართლოს.

10. სხვა პირობები

10.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

10.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება შემსყიდველთან, ხოლო მეორე გადაეცემა მიმწოდებელს.

11.მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“:	„მიმწოდებელი“:
ა(ა) იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“	ი/მ მალხაზ ჟორჟაძე
ს/კ 445531130	პN№61003007924
იურ მის.: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25 ფაქტ მის.: ქ. ბათუმი, წერეთლის ქ. №2 ელ. ფოსტა: servisebissaagento@gmail.com	მის: ქ. ბათუმი, ალექსანდრე ჩხაიძის ქ. №24
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა: ბ/კ TRESGE22 ანგ. №GE24NB0330100200165022	საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბანკის კოდი BAGAGE22 ანგარიში GE76BG0000000123743700
დირექტორი: ჯუმბერ კობალაძე ----------	ი/მ მალხაზ ჟორჟაძე ----------

NNLP AGENCY OF MUNICIPAL SERVICES

Digitally signed by NNLP AGENCY OF MUNICIPAL SERVICES
Date: 2019.07.04 15:47:20 +04'00'

დანართი 1

№	Cpv	მომსახურები დასახელება	განზომილების ერთეული, რაოდენობა		ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	**45340000** - ღობეების, მოაჯირებისა და დამცავი მოწყობილობების მონტაჟი	ოფისის შენობის კარებთან(ეზოს მხრიდან) პანდუსის მონტაჟი და კარებზე მორყევის საწინააღმდეგო კონსტრუციის გაკეთება	ცალი	1	115	115,00
2	**45340000** - ღობეების, მოაჯირებისა და დამცავი მოწყობილობების მონტაჟი	შემოსასვლელი ჭიშკრის შეკეთება	ცალი	1	30	30,00
3	**45340000** - ღობეების, მოაჯირებისა და დამცავი მოწყობილობების მონტაჟი	საწყობის კარების შეკეთება	ცალი	2	50	50,00
4	**45340000** - ღობეების, მოაჯირებისა და დამცავი მოწყობილობების მონტაჟი	კარების ბოქლომის დემონტაჟი მონტაჟი	ცალი	3	15	45,00
5	**45340000** - ღობეების, მოაჯირებისა და დამცავი მოწყობილობების მონტაჟი	სეიფის ბოქლომის მონტაჟი	ცალი	1	25	25,00
6	**45311000** ელექტროგაყვანილობებისა და ელექტრომოწყობილობების მონტაჟი	სანათების დემონტაჟი და მონტაჟი	ცალი	3	10	30,00
7	**45311000** ელექტროგაყვანილობებისა და ელექტრომოწყობილობების მონტაჟი	ტუალეტში საშრობის მონტაჟი	ცალი	1	20	20,00
8	**45351000 საინჟინრო სამონტაჟო სამუშაოები**	ბაგრატიონის (ერთი) ადმინისტრაციულ ერთეულში დროშების ტროსების შეცვლა	ცალი	2	30	60,00
		სულ ჯამი:				375,00

ინფორმაცია ინტერესთა
კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ბათუმი 4 ივლისი, 2019 წ.

ვადასტურებთ, რომ ა(ა) იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“ - სთვის შესრულებული სამუშაოები ი/მ მალხაზ ჟორჟაძის მიერ (CPV **45300000** სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები; CPV **45340000 ღობეების,მოაჯირების და დამცავი მოწყობილობების მონტაჟი** ; CPV45311000 - ელექტროგაყვანილობებისა და ელექტრომოწყობილობების მონტაჟი; CPV 45351000- საინჟინრო- სამონტაჟო სამუშაოები.) გამარტივებულ შესყიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქ-ართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

დირექტორი: ჯუმბერ კობალაძე

სამეურნეო განყოფილების
უფროსი: ჯემალ მაკარაძე